ხელშეკრულება № 7

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი **19.07.2022წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ შოთა შანიძის სახელობის #20-ე ხელოვნების სკოლა(შემდგომში,,-შემსყიდველი"),წარმოდგენილი დირექტორის ალლა ლაფერაშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „ გორგია" ქეთი ლომაძე(შემდგომში-,,მიმწოდებელ, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:.

1. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

1.1 ხელშეკრულების საგანია: სკოლის შენობაში საკლასო ოთახში იატაკის მცირე აღდგენითი სამუშაოსთვის მასალების შეძენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 კლასიფიკაციის კოდი CPV **44100000**

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმა

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 385,39(სამას ოთხმოცდა ხუთი და 39 თეთრი) რომელიც ითვალისწინებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთვის საჭირო ყველა ხარჯს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარებში.

2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები.

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. შესყიდვის განხორციელების პარალელურად მიმწოდებელი უზრუნველყოფს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების ან მიღება–ჩაბარების აქტის წარდგენას.

3.4 მიწოდების ადგილი;ქ.თბილისი , გლდანის მას „ა" მ/რ 136 საჯარო სკოლის შენობა

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე შემსყიდვების მხრიდან უფლებამოსილი პირია- სკოლის დირექტორი ა.ლაფერაშვილი

4.2 შესყიდვის ობიექტი მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლის გათვალისწინებით.

5.2. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

- განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების დროულად და კეთილსინდისიერად შესრულება.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

7. სხვა პირობები

7.1 სადავო საკითხის არსებობისას შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადენილი წესით;

7.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები:

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ შ.შანიძის სახ. N 20 ხელოვნების სკოლის დირექტორი ალლა ლაფერაშვილი, რაც გულისხმობს მიმიწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

9. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

,,შემსყიდველი”	,,მიმწოდებელი"
ა(ა)იპ ქ.თბილისის შ.შანიძის სახ.	შპს „გორგია
N 20 ხელოვნების სკოლა	ს/კ 245621288
ტელ:599915108	
ს/კ 209461713	
მის.ქ.თბილისი, გლდანის მას.“ა“ მ/რ	ს ს „თიბისი ბანკი ”
ხაზინის ერთიანი ანგარიში:	ბანკი კოდი: TBCBGE22
ა/ა 7 41657499	ა/ა GE62TB1007536020100008

დირექტორი

ა.ლაფერაშვილი